გაეცანით ნაწყვეტს ნ.დუმბაძის მოთხრობიდან ,,ძაღლი“ .შეკითხვებზე პასუხი მაშინ გაეცით, როდესაც ტექსტის შინაარსი სრულიად გასაგები იქნება. მოცემული სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ერთი.

1. რა სურვილის შესრულებას სთხოვს ბაბუა შვილიშვილს, როცა აღარ იქნება?
   1) მეზობლის ქალებს სთხოვს, შეიცხადონ.
   2) ომის არ შეეშინდეს
   3) სახლი არ მიატოვოს და მამას დაახვედროს
   4) მამას მოსვლამდე კარგად ისწავლოს
2. ბაბუას სიტყვებით, რატომ არ უნდა შეშინდეს გოგიტა?
   1) სიკვდილი თუ არაფერია ,,არაფერშიც“ წასვლა არაფერია.
   2) შიში ვერაფერს შეცვლის
   3) თუ სიკვდილი არაფერია ,,არაფერი“ საშიში ვერ იქნება და თუ გარდაცვალებაა-მით უმეტეს, არაა საშიში, რადგან სხვა საგნად მაინც მოხვალ ამ ქვეყნად.
   4) თუ სიკვდილი არაფერია, სიცარიელეა,რადგან არაფერში არაფერი არ არსებობს და თუ გარდაცვალებაა-საშიშია, რადგან სხვა საგნად მოხვალ ამქვეყნად.
3. რატომ ჰგონია ბაბუას, რომ ბიჭის ომში წასული მამა ცოცხალია?
   1) სიზმარში ხედავს გარდაცვლილ ახლობლებს, რომლებიც ეუბნებიან, რომ ბიჭის მამა ცოცხალია
   2) სიზმარში ხედავს ხოლმე ბიჭის მამას და ის ეუბნება, რომ ცოცხალია.

LIVEWORKSHEETS

3) სიზმარში ხედავს გარდაცვლილებს და ბიჭის მამა მათ შორის არაა
4) სიზმარში ხედავს, როგორ ბრუნდება ბიჭის მამა შინ ცოცხალი.

4. იმსჯელეთ ბაბუას დამოკიდებულებაზე სიკვდილის მიმართ.
   1) ბაბუას არ ეშინია სიკვდილის და გოგიტას არიგებს, რომ მასაც არ უნდა ეშინოდეს.
   2) ბაბუას ეშინია სიკვდილის, მაგრამ გოგიტას არიგებს, რომ მას არ ეშინოდეს
   3) ბაბუამ იცის, რომ სიკვდილი საშიშია, თუმცა მისი არ ეშინია
   4) ბაბუას არ ეშინია სიკვდილის, ელოდება და წუხს, რომ ის მძიმედ მოდის.
5. რისი თქმა უნდა ბაბუას ამ სიტყვებით:,,მოემზადე, ბაბუა, მოემზადე და არ შეშინდე...ყველაფერს თავისი წესი აქვს და ამ წესს მეზობლები ამიგებენ. ნუ შეშინდები.“
   1) ბაბუას იმედი აქვს, რომ ტრადიციების დაცვით მოეპყრობიან მის ნეშტს
   2) ბაბუას სურს, რომ ბიჭმა მეზობლებს სთხოვოს მისი შეცხადება.
   3) ბაბუა არიგებს ბიჭს, როცა მარტო დარჩება, როგორ მოუაროს თავსა და სახლს.
   4) ბაბუა ამხნევებს ბიჭს, რომ არ შეეშინდეს და ძაღლი უკან მოიყვანოს.
6. რას ამბობს ბაბუა ომის შესახებ?

LIVEWORKSHEETS

1) რომ ომი თავის თავს ამოწურავს და დამთვრდება
2) რომ ომი ადამიანებმა დაიწყეს და მათ უნდა დაამთავრონ.
3) რომ ომი ადამიანებს დაამთავრებს.
4) რომ არავინ იცის, ომი როდის დამთავრდება.

7. როგორ მოიქცა გოგიტა, როცა მკვდარ ბაბუასთან მარტო დარჩა?
   1) შეეშინდა, გარეთ გავიდა და შინ ვეღარ შედიოდა.
   2) არ შეშინებია, გააღო კარ-ფანჯარა და მეზობლის დასაძახებლად წავიდა.
   3) შეეშინდა, მაგრამ გამაგრდა და მეზობლისკენ გასწია.
   4) სახლში შესვლა არ უნდოდა და ეზოში ჩამოყრილი მსხლების შეგროვება დაიწყო.

8. რა იგრძნობა ბიჭისა და მარგალიტას დიალოგში?
   1) ბიჭი იმედგადაწურულია.
   2) ბიჭი თავს მარტოსულად გრძნობს
   3) ბიჭი მარგალიტას ეხვეწება, რომ სურვილი შეუსრულოს.
   4) ბიჭი არ მოეშვება, სანამ მარგალიტა თხოვნას არ შეუსრულებს.

9. თქვენი აზრით, რა არის მოთხრობის ამ მონაკვეთის მთავარი სათქმელი?
   1) სიკვდილი ყველას ხვედრია.
   2) სიკვდილი დიდი უბედურებაა.
   3) გარდაცვლილი ადამიანი ტრადიციების დაცვით უნდა იგლოვონ.

LIVEWORKSHEETS

4) კარგი ადამიანები სიკვდილის წინაც ზრუნავენ შვილებსა და შვილიშვილებზე.

10. ტროპის რომელი სახეა გამოყენებული მეორე წინადადებაში: ,,ყანაში აუჭრელი ჩალის ღერები შრიალებდნენ.რატომღაც გავიფიქრე, ალბათ, ყველაფერი იციან და ახლა ჩემზე ჩურჩულებენ-მეთქი.“

1) შედარება
2) ჰიპერბოლა
3) გაპიროვნება

LIVEWORKSHEETS